

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პროფესიული საქმიანობის, საავტორო უფლებების და ეთიკის დაცვის კომისიას

ბატონებო

თქვენ მონაწილეობას იღებდით არქიტექტორთა კავშირის 27-ე საერთო კრებაში და შეგიძლიათ დაადასტუროთ (ან უარყოთ) ამ კრების მიმდინარეობის ქვემოთ მოყვანილი ქრონიკა. ნებისმიერ შემთხვევაში მოვითხოვთ ფაქტის გადაუდებელ, საფუძვლიან განხილვას, მომხდარიდან მართებული დასკვნების გამოტანას. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამის გაკეთება ყველა ჩვენთაგანისთვის ერთობ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

არქიტექტურულ საზოგადოებას, არქიტექტორებს, *ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე უნდა შეეძლოთ მათივე პრობლემების თავად მოგვარება, ან როგორც მინიმუმ, ობიექტურად შეფასება.* ვფიქრობთ, ამ შეფასებაზე დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი პროფესიული ერთობის შემდგომი ქმედითუნარიანობა და ავტორიტეტი.

დანართი: *კრების მიმდინარეობის აღწერა. 2გვ.*

პატივისცემით, არქიტექტორი პავლე მინძიბაძე



ქ.თბილისი 22.01.2018

გ ი ლ ე ბ უ ლ ი ა
" 1 " 22.01 2018 წ.